ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2344552

ნომერი: AR1362404

თარიღი : 08.12.2015

გაცემის თარიღი : 15.12.2015

გაცნობის თარიღი : 15.12.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ფეიქრების I შესახვევი , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ჯუღაშვილი პ/ნ 01011008861
- თბილისი ლეხ კაჩინსკის ქ. N 9 ბ. 28

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულადატვირთული დოკუმენტაცია, რაზეც გაცნობებთ შემდეგს: - დამატებით ფაილის ველში ატვირთულია დაზიანებული ვერსია რაც არ იძლევა წარმოდგენილი ნახაზის ვექტორული ფაილის აღქმის შესაძლებლობას .

იმისათვის, რომ სამსახურმა შეძლოს თქვენი საკითხის ხელახლა განხილვა, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი: #11706/09 D-- 01,12.15 შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"ს რეკომენდაციის გათვალისწინებით :" GWP -ის მფლობელობაში არსებული D-1800X1400 მმ-იანი მთავარი გამყვანი საკანალიზაციო კოლექტორიდან სამშენებლო ნორმებისა და წესების თანახმად სანიტარულ ზოლში აუცილებლობას წარმოადგენს ყოველგვარი შენობა ნაგებობის დაშორება თვითდენითი საკანალიზაციო კოლექტორიდან არა ნაკნებ 3,0 მეტრით ორივე მხრიდან" დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტის CAD ფაილი * - ველში ატვირთული უნდა იქნას სიტუაციური ნახაზი სადაც დატანილი იქნება შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"ს დანართის მიხედვით კოლექტორი, რომლიდანაც ღობე დაცილებული იქნება არა ნაკლებ 3,0 მეტრით.

სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დატოვებული იქნება განუხილველი .

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.